www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 7 აგვისტო, 2012 წელი. | №3084 (177) | ფასი 50 თეთრი

მაგარი ბიჭები

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ყველაზე მძიმე სპორტსმენის კარიერაში ფინალის წაგებაა. მით უმეტეს ოლიმპიური თამაშების ფინალის. ეს სიმწარე ცოტა რამეს თუ შეედრება. წარმოიდგინეთ, ჩვენ გულშემატკივრებმა როგორ განვიცადეთ რევაზ ლაშხის მარცხი და რა დაემართებოდა თავად რევაზს, რომელიც ამ ფინალისთვის ოთხი წელი ემზადებოდა. საუკეთესოც გახდა თავის წონით კატეგორიაში და ეს მძიმე ფინალი, ერთი ნაბიჯი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულისგან. ძალიან რთულია.

რევაზმა ჩინებულად წარმართა ორთაბრძოლები. მას უაღრესად რთული ბადე ერგო.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე



გიგა გურასაშვილი, ფოტო

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კორექციამდე

დათო გამისონია

გუშინ ცესკო-მ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გამოაქვეყნა. მისი მონაცემებით, საქართველოში, სულ, 3 621 256 ამომრჩეველია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე მოცემულია ა რაოდენობა თითოეულ საარჩევნო ოლქში. საქართველო 73 საარჩევნო ოლქად არის დაყოფილი. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ამომრჩეველი ქუთაისის საარჩევნო ოლქშია - 163 654, თბილისში კი ამომრჩეველთა რაოდენობით გლდანი ლიდერობს, სადაც 155 822 ამომრჩეველია რეგისტრირებული.

ცესკო მოქალაქეებიდან 1-ელ სექტემბრამდე მიღებული შენიშვნების მიხედვით სიაში შესწორებებს, ამომრჩეველთა სიების უზრუნველყოფის კომისიასთან თანხმობით, 15 სექტემბრამდე შეიტანს. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი აღნიშნავს, ამომრჩეველთა საბოლოო სია, სამაგიდო ვერსია 15 სექტემბრიდან დაიდება. შემდეგ კი მასში ცვლილების შეტანა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნება შესაძლებელი.

ამომრჩეველთა სიების გადამოწმების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსია ზურაბ ხარატიშვილს 1-ელ აგვისტოს წ

ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციაში საინიციატივო ჯგუფებისთვის დასრულდა ვადა მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ განაცხადების შესატანად. 5 წევრისგან დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფს, რომელსაც დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენა სურდა, საოლქო საარჩევნო კომისიისთვის უნდა მიემართა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

თავხედური თავდასხმა ეგვიპტე-ისრაელის საზღვარზე

სალომე ჯანიაშვილი

ისრაელის სამხედროების განცხადებით, მათ იმ ხუთი მებრძოლის ცხედარი იპოვეს, რომლებიც ცოტა ხნის წინ თავს დაესხნენ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს ისრაელისა და ეგვიპტის საზღვრის ჩრდილოეთ ნაწილში, ღაზას სექტორის კუთხესთან. სროლის შედეგად, რომელიც კვირას, ღამით მოხდა საგუშაგო რაფაჰზე, დაიღუპა არანაკლებ 16 ადამიანისა და დაშავდა 7 ეგვიპტელი პოლიციელი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

შტანგამ მაჭავარიანი იუცხოვა

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ლიდერი გია მაჭავარიანი ლონდონში გამგზავრებამდე მედლის მოპოვების კანდიდატად მიიჩნეოდა. მიიჩნეოდა იმ შემთხვევაში თუ ფიცარნაგზე მობილიზებული გავიდოდა და ყველა ცდას გამოიყენებდა, მაგრამ უკვე ლონდონში მყოფმა უმთავრეს ასპარეზობაზე არათუ ყველა ცდა ლამის ყველა გამოუყენებელი დარჩა და შესაბამისად უმედლოდაც.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6500₾
1 ევრო	2.0270₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5733₾
1 თურქული ლირა	0.9258₾
100 რუსული რუბლი	5.0713₾

თბილისი	34°C - 23°C
ქუთაისი	34°C - 21°C
თელავი	35°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 22°C
ბათუმი	28°C - 22°C

ნავთობი	2.94	+0.01	+0.37%
გაზი	2.87	+0.00	-0.14%
ოქრო	1,613.00	+5.90	+0.37%
ხორბალი	891.75	+0.50	+0.06%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მადონა შესაძლოა PUSSY RIOT-ის მხარდამჭერების პროტესტს შეუერთდეს

5

ზოკოლადი და არგენტინა

7

ძმაკაცები, დელ პოტრო და ფედერერი

დიღმის ტყე-პარკი ბინძურდება

მარი ახსიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "უსაფრთხო სივრცე" დიღმის ტყე-პარკის დაბინძურებას აპროტესტებს. ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე ამტკიცებენ, რომ ტყე-პარკის ტერიტორიები უკანონოდ არის მითვისებული. "უსაფრთხო სივრცის" თანამშრომლებმა გუშინ ჟურნალისტებს დიღმის ტყე-პარკში არსებული მდგომარეობის საჩვენებლად ტერიტორია დაათვალიერებინეს და იმ უკანონო ობიექტებზე ისაუბრეს, რომლებსაც საკანალიზაციო არხები არა აქვთ.

"ტყე-პარკის ტერიტორიაზე წლების წინ შეჭრილი სავაჭრო ცენტრი "მარი მარკეტი" კვლავ გაფართოვდა. მან შემოიღობა ტერიტორია, ჩადგა საცურაო აუზი და, მრავალ სხვა ობიექტთან ერთად, საკანალიზაციო ქსელის გარეშე აგრძელებს მუშაობას. ფეკალური წყალი კი მთელ ტერიტორიაზე ღია წესით გადმოედინება და აქაურობას აბინძურებს. ასევე, ობიექტმა ცხვრებისთვის სადგომი შემოღობა და სასაკლაო მოაწყო. ეს ანტისანიტარიის კერა გახდა, რომელიც ტყე-პარკს აბინძურებს," - აცხადებს "უსაფრთხო სივრცის" წარმომადგენელი ანა გაბრიაძე. ორგანიზაცია მოუწოდებს ქალაქის მერიას და შესაბამის სამსახურებს, სასწრაფოდ მიიღონ ზომები შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. ისინი განაცხადს პროკურატურაშიც შეიტანენ.

დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე სიბინძურე და კანალიზაციის მძაფრი სუნი უცებ მოგხვდებათ თვალსა და ცხვირში. პოლიეთილენის პარკები, დაჭრილი ბოთლები, წვენის ყუთები და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები ობიექტების გარშემო მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული. "უსაფრთხო სივრცის" მიერ სასაკლაოდ მითითებულ ადგილზე კი შედედებული სისხლის გუბეები და ცხვრის მატყლის ნარჩენები მოჩანს. იქვეა ფეკალური მასების შესქელებული ტბორები. რამდენიმე მონაკვეთზე გაყვანილი პლასტმასის მილები დამტვრეულია, საიდანაც სიბინძურე ღია ჭებში ჩადის, იქიდან კი - ნიადაგში.

"საქწყალპროექტის" გენერალური დირექტორის გეიდარ ფალავანდიშვილის ოფიციალური დასკვნის მიხედვით, შესწავლილია დიღმის ტყე-პარკის მელიორაციული და ჰიდროლოგიური მდგომარეობა და სარწყავი წყლის ოდენობა ერთი საათის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს 5-6 მმ/წთ-ს. ტერიტორიაზე განლაგებული 9 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის მიერ ყოველდღიურად გახარჯული წყალი კი, "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მონაცემებით, 40მ კუბია, რომელიც ქიმიურ მინაერთებსაც შეიცავს.

"ტყე-პარკის ნიადაგების წყალგამტარობა ნალექების და საყოფაცხოვრებო წყლის ამდენი რაოდენობის მიღებას ძნელად უზრუნველყოფს და ზედმეტი წყალი ჩადაბლებულ ადგილებში გროვდება. დაბალი ფორიანობის გამო ეს იწვევს გრუნტის წყლებს მკვეთრ ამოწურვას," - წერია დასკვნაში და იქვე მითითებულია, რომ პარკის მთელ ტერიტორიაზე დაჭაობება და ხეების ინტენსიური ხმობა შეინიშნება.

შესწავლის თანახმად, საკანალიზაციო ქსელი არც ერთ ობიექტს არა აქვს, მათ მიერ ყოველდღიურად მოხმარებული დაბინძურებული წყალი მიწაში მოწყობილ ორმოებში ჩაედინება და გრუნტის წყლებს ერევა. ამასთან, ორი ობიექტის საკანალიზაციო მილი კანონის დარღვევით არის შეერთებული სანიაღვრე ჭასთან. ტოპოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით კი, სანიაღვრე ჭის სიღრმე საკანალიზაციო მილის ჩამონადენის მიღებას ვერ უზრუნველყოფს და ფეკალური მასები პარკის ტერიტორიაზე, ნიადაგში ჩაედინება.

დასკვნის მიხედვითვე, ორ ბენზინგასამართ სადგურს და ორი მანქანის სამრეცხაოს ნავთობამრიდი სალექარი არ გააჩნია, ნავთობი მიწაში ჩაედინება და ზედაპირზეც ფიქსირდება. "საქწყალპროექტის" რეკომენდაციით, საკანალიზაციო და საყოფაცხოვრებო წყლები ტყე-პარკის ტერიტორიას უნდა მოცილდეს.

ცნობისათვის - თბილისის საკრებულოს 1996 წლის დადგენილებით, ინდმეწარმე ვახტანგ ჭოლოკავას დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე 480 კვ. მეტრი მინის ნაკვეთი დროებითი სარგებლობისთვის გამოეყო და დადგენილებაში ჩაიწერა, რომ მას ადგილი პირველი მოთხოვნისთანავე უნდა გაეთავისუფლებინა. ორ წელიწადში ჭოლოკავამ შპს "მმ" დააფუძნა. თბილისის მთავრობის 1999 წლის დადგენილებით, ნინა დადგენილებაში ცვლილება შევიდა და ამოვარდა სიტყვები - "დროებით სარგებლობის უფლება". ასევე, გააუქმეს მე-3 მუხლი, რომელშიც ეწერა, რომ ინდმეწარმე ვალდებული იყო, მიწის ნაკვეთი პირველი მოთხოვნისთანავე გაეთავისუფლებინა და ქალაქის მუნიციპალიტეტისთვის კომპენსაციის გარეშე გადაეცა. 2008 წელს კი შპს "მმ"-მა ტერიტორია 800კვ/მ-ით გაიფართოვა და 1280 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაიკავა.

საქართველოს საზოგადოებების საყურადღებოდ!
ლიცენზირებული რეგისტრატორი
სს „კავკასრეესტრი"
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
მომსახურების საფასური 17 ლარიდან.
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ.: 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ-ფოსტა: kavkasreestri@gmail.ge

ეროსომბუდსმენი

შუბლგახეთქილი ბრიყვები

ნოდარ ლადარია

"ევროპა საუკუნეების განმავლობაში მიდიოდა იმის შეგნებამდე, რომ განსხვავებული მრწამსის მატარებელი ... შეიძლება თან პატიოსანი იყოს და თან ჭკვიანი", — ეს სიტყვები გია ნოდიას ეკუთვნის, ციტატა კი ჟურნალ "ტაბულაში" გამოქვეყნებული მისი სტატიიდანაა აღებული. ოდესღაც თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე და მერე რვა წლის განმავლობაში ვმუშაობდი ფიზიკის ინსტიტუტში. გასაგებია, რომ ციტატაში გამოთქმული აზრი სრულიად ბუნებრივად მიმაჩნდა, იმდენად ბუნებრივად, რომ მისი ჩამოყალიბების აუცილებლობაც კი არ შემქმნია და არც ის მიფიქრია ოდესმე, რომ შეიძლება ადამიანს სხვანაირად ეგონოს. პირველად ამ უცნაურ ფენომენს სასულიერო აკადემიაში წავაწყდი — ვიღაცამ მოულოდნელად გამაწყვეტინა: "ხატმებრძოლი იმპერატორის სიტყვებს რატომ ენდობი?".

მახსოვს, ის იმპერატორი რაღაც სრულიად ნეიტრალურს ამბობდა, პოლიტიკურ ვითარებას ახასიათებდა. მაგრამ ხატმებრძოლეობის დამღა გვაიძულებდა აპრიორულად, ესე იგი, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის, ყოველგვარი დადებითი გამოცდილების გარეშე მიგვეჩნია, რომ ეს კაცი ბრიყვი და თან უზნეო მატყუარა უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ბიზანტიის ტახტზე სიბრიყვეც ყვაოდა და უზნეობაც, მაგრამ თვისებათა ეს ორი გავრცელებული კომპლექსი სულაც არ არის დაკავშირებული აღმსარებლობასთან. პირიქით, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ისტორია აღსავსეა საბუთებით, რომ სწორედ ერეტიკოსებად აღიარებული ადამიანები ამჟღავნებდნენ განსაკუთრებული სიხშირითა და ძალით როგორც გონებრივ გამჭრიახობას, ასევე სულიერ უდრეკობას — მრწამსის განსხვავებულობა თითქმის ყოველთვის ნიშნავს სოციალურ დისკომფორტს, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს შეგნებული არჩევანი, როცა რწმენა ურყევი და გულწრფელია.

ვისაც ჰგონია, რომ ახლა იმის მტკიცებას მოვყვები, რომ არ მჯერა, თითქოს შესაძლებელია ერთ ტომარა ფქვილად იყიდო მიმდევრები, ცდება: ამჯერად სულ სხვა ტიპის სიბრიყვეზე უნდა ვიმსჯელო... თანაც სულ სხვა სფეროში.

შარშან ზაფხულში ერთ ახალგაზრდა ამერიკელ დემოკრატთან მომინია საუბარი. ყმაწვილი ერთგვარად იმედგაცრუებული ჩანდა: "ამერიკელთა უმრავლესობა სრული იდიოტია: წამდაუწუმ ღმერთს ახსენებენ და ხელებს მაღლა იშვერენ", — ამბობდა და თან საშუალო განათლების სისტემას აკრიტიკებდა. როგორც ეტყობა, ლოცვის გაძლიერება და კურთხევათა სიმრავლე არც იქაურ აბიტურიენტებს შველის. მაგრამ ამაზე უფრო მეტად ერთი ქართველი ლიბერალ-კონსერვატორის რეაქციამ გამაკვირვა: "როგორ შეიძლება დემოკრატის სახელი ერქვას მას, ვისაც ასე სძულს საკუთარი ერი?".

საიდან დაასკვნა, რომ იმ ახალგაზრდა დემოკრატს საკუთარი ერი სძულდა? განა სწორედ სიყვარული არ არის საყვედურის სათქმელად ყველაზე ძლიერი მორალური საფუძველი? მაპატიეთ ბანალობისათვის, მაგრამ სწორედ ამაზე წერდა ილია ჭავჭავაძე: "ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია".

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში სიბრიყვისა და დოგმატური შეგნების პირველ ტიპთან გვაქვს საქმე: როცა მიიჩნევენ, რომ განსხვავებულ პოზიციაზე მყოფნი აუცილებლად ან სულელები არიან, ან უზნეონი.

მაგრამ არის სიბრიყვისა და შეზღუდულობის მეორე ტიპი, ბევრად უფრო საშიში: როცა მიიჩნევენ, თითქოს ისინი, ვისი მრწამსი ჩვენსას თანხვდება, აუცილებლად ჭკვიანები და პატიოსნები არიან. ასეთმა განწყობამ შეიძლება თვით სასარგებლო, მართებული და ნაყოფიერი თვალსაზრისებიც გააუფასუროს, ყოველგვარი იდეის დისკრედიტაცია მოახდინოს. ამიტომაა უფრო საშიში...

დამხმარე მაგალითად ასევე ამერიკელს, მაგრამ ამჯერად სხვა პოლიტიკური მიმართულების მქონეს მოვიყვან. ამას რიკ პერი ჰქვია, ერთ დროს პრეზიდენტობას ებღაუჭებოდა და სარეკლამო კლიპში გასხივოსნებული ღიმილით განაცხადა: "არაა საჭირო ყოველ კვირას ეკლესიაში სიარული, რომ მიხვდე, სად არის შენი ქვეყნის გასაჭირის საწყისი: ის, რომ ჰომოსექსუალები ღიად მსახურობენ ჯარში, ჩვენს შვილებს კი სკოლებში ქრისტეშობის აღნიშვნა არ შეუძლიათ". ალბათ მართალია, რომ ასეთი კანდიდატის გამარჯვება უფრო სასურველია ჩვენთვის და ასეთი ვარაუდი საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ მოსაზრებებს ეყრდნობა. მაგრამ მე სხვა რამ მაღელვებს, უფრო ზუსტად კი ორი რამ:

ჯერ ერთი, ოთხმილიონიან საქართველოში არ მინდა არსებობდეს ელექტორატი, რომელსაც ასეთი განცხადებებით მოხიბლავ. ამ სურვილში არ არის არაფერი არც ადამიანურად სამარცხვინო და არც პოლიტიკურად გაუმართლებელი. შესაძლოა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ტრადიციულად პროტესტანტული ოჯახებისთვის საკვირაო ქადაგებები მართლაც არსებითი წყაროა რეალობაზე წარმოდგენის შესაქმნელად, შესაძლოა, ამ ხალხის არჩევანით განპირობებული საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, მაგრამ მეც ვიტოვებ უფლებას, მიმაჩნდეს, რომ, მაგალითად, რუსეთის ბოროტებაზე სწორი თვალსაზრისის შექმნა ბევრად უფრო ჯანსაღი წანამძღვრებიდანაც შეიძლება.

ალბათ ვინმე მისაყვედურებს, რომ წინა აბზაცის პირველი წინადადებით ძალიან ბევრს თავისუფალი არჩევანის უფლება წავართვი. მაგრამ თავისუფალი არჩევანის სფერო, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის ან თუნდაც ავტომობილის გამოგონებამდე და გამოგონების შემდეგ საგრძნობლად განსხვავდება. ვინ იტყვის, რომ უვიცობის ან სიბნელის დონე, რომელიც ადამიანმა შეიძლება აირჩიოს სხვებისათვის ზიანის მიუყენებლად, ერთხელ და სამუდამოდ არის დადგენილი და გარემო პირობებს მასზე გავლენა არა აქვს?

მეორეც, პრაგმატიზმი არასოდეს უნდა იქცეოდეს მარტივ გამორჩენად ან პრიმიტიულ მიმიკრიად... ამ აზრის ასახსნელად რონალდ რეიგანის ერთ გამონათქვამს გავიხსენებ: "ადამიანი, რომელიც ჩემი თვალსაზრისების 80 პროცენტს იზიარებს, ჩემი მოკავშირეა". მშვენიერი გამონათქვამია, და როგორც ყველა მშვენიერ გამონათქვამს, ამასაც გაგების ფართო სივრცე აქვს: ის, რომ ძლიერი მოკავშირის თვალსაზრისთა 80 პროცენტი ჩვენს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს, არ გვავალდებულებს ჩვენთვის უსარგებლო ან მავნებელი 20 პროცენტის აღიარებასაც: მოკავშირეობა ამით არ იზარალებს.

აზრი მარტივია, თუმცა კი მისი მიღება მაინც გაუჭირდებათ მათ, ვინც უსაფრთხოების ღვედებში პირადი თავისუფლების შეზღუდვას ხედავს, მარიხუანას ლეგალიზაცია კი არსებით აუცილებლობად მიაჩნია. ეს ყმაწვილები სოციალურ ქსელებში ავრცელებენ სხვადასხვა სააგიტაციო პლაკატებს. ერთ მათგანზე, მაგალითად, გამოსახულია ლენინის, სტალინის, ჰიტლერის, ფიდელ კასტროს, კიმ ირ სენის პორტრეტები და წარწერა: "იარაღის ტარებაზე კონტროლი მუშაობს — დიქტატორები ამას ეთანხმებიან!". თავისთავად, საკითხის ასეთი დაყენება არაფერს ამტკიცებს. წარწერა შეიძლება ასეთიც ყოფილიყო: "ტრადიციული მონოგამიური ქორწინება მუშაობს — დიქტატორები ამას ეთანხმებიან!".

მაგრამ ეს ფორმის საკითხია და, ასე ვთქვათ, ეშველება. აი შინაარსს კი რა ვუყოთ? — აშშ-ს კონსტიტუციის წინაშე აღფრთოვანებამ რატომ უნდა დაგვავიწყოს ის უბრალო გარემოება, რომ ეს კონკრეტული ქვეყნის კულტურასა და ისტორიაზე მორგებული ტექსტია და არა ზოგადად ადამიანისთვის შექმნილი და ყველასათვის უპირობოდ სავალდებულო დეკალოგი? ბოლოს და ბოლოს, ამ ტექსტის გარშემო ბუნებრივი კამათი თვით ამერიკაშიც მიმდინარეობს და არც არასოდეს შეწყდება.

ჩვენმა შინნაზარდმა თავისუფლიანელებმა კი ღვაწლი დაუკარგეს მოსამართლე ანტონინ სკალიას, რომლის გადაწყვეტილების თანახმად მეორე შესწორების შინაარსი იმას კი არ გულისხმობს, რომ იარაღის შენახვისა და ტარების უფლება ყველა ძაღლსა და ღორსა აქვს, არამედ სამხედრო სამსახურისთვის ვარგის და შესაბამისი სოციალური უნარების მქონე მამაკაცებს. თანაც იარაღის ტარების უფლებასაც გარკვეული და ცხადად გამოხატული მიზანიც აქვს — well-regulated militia — "კარგად რეგულირებული ლაშქარი". თავისუფლების მოყვარულებს ან საძულველი ცნება "რეგულაცია" აბრმავებს, ან მათაც იმან ასწავლა ინგლისური, ვინც შალვა ნათელაშვილისა და ელგუჯა (იობ) აქიაშვილის ცოდვა დაიდო.

ყველაფერთან ერთად ეს ხალხი საქართველოში ჩატარებულ რეფორმებსაც ხოტბას ასხამს და ბევრი პარამეტრით შეესაბამება ეგრეთ წოდებული "მიშისტების" კრიტერიუმებს. ჰოდა, ბატონებო, ამ რეფორმების წყალობით, საქართველო საკმაოდ უსაფრთხო ქვეყანაა, ასეთ პირობებში იარაღის შენახვისა და ტარების უფლება უსაფრთხოების დონეს მხოლოდ დაბლა დასწევს. ხოლო მან, ვისაც საკუთარი კაცობის დასამტკიცებლად მაინცდამაინც ქამარში გარჭობილი "სტეჩკინი" სჭირდება, იარაღის მაღაზიას კი არა, ფსიქიატრიულ კლინიკას უნდა მიაკითხოს.

ჩვენ ქვეყნისთვის ერთობ გადამწყვეტ დროს მოგვიწია ცხოვრებამ, ამიტომ არა გვაქვს ფუფუნება რაციონალური უმეცრება ავირჩიოთ და მდაბიურ წამხედურობას გადაყოლილებმა ვერ შევნიშნოთ, რომ ცნობილი რუსული ანდაზის პერსონაჟს ვემსგავსებით — ბრიყვს, რომელსაც ლოცვა ასწავლეს, მან კი შუბლი გაიხეთქა...

პრეზიდენტმა კახეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ისაუბრა

კახეთში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შსახებ მიხეილ სააკაშვილმა რეგიონში პრეზიდენტის წარმომადგენელ ლევან ბეჟაშვილთან და კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილთან ისაუბრა. შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, სექტემბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს ფულადი კომპენსაციების დარიგება, აღდგეს მწვანე საფარი, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ძველი ვენახების მოვლისთვის და გაშენდეს ახალი ვენახები.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, რამდენიმე დღის წინ მან კახეთის დაზარალებულ სოფლებს ვერტმფრენით გადაუფრინა და ნახა, რომ სახლების დიდი ნაწილი უკვე გადახურულია.

როგორც ლევან ბეჟაშვილმა აღნიშნა, სახურავების გადახურვის სამუშაოების 95 პროცენტი შესრულებულია.

"მხოლოდ 154 სახლი დაგვრჩა გადასახური. უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. მშენებლები არ ჩერდებიან. ჩვენ შევქმენით კომისია და მიმდინარეობს კრამიტიანი სახლების აღწერის პროცესი. ასეთი, დაახლოებით, 810 სახლია თელავსა და გურჯაანში. ახლა ვყოფთ მათ კატეგორიებად - პირველ, მეორე და მესამედ. პირველი კატეგორიის სახლებში მშენებლები უკვე შედიან და მუშაობას იწყებენ," - განაცხადა ბეჟაშვილმა.

კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილის თქმით, ფულადი კომპენსაციების გაცემა უახლოეს მომავალში დასრულდება.

"რაც შეეხება სტუდენტებს, 900-მდე სტუდენტი უკვე აღრიცხულია. შევიმუშავეთ განათლების სამინისტროსთან ერთად განაცხადის ფორმა და ახლა ამ ფორმების შევსება დასასრულს უახლოვდება. 1-ელი სექტემბრისთვის გვექნება სრულყოფილი სურათი, თუ რამდენი სტუდენტი იქნება გათავისუფლებული გადასახადებისგან," - განაცხადა სიბაშვილმა.

მისივე თქმით, მიმდინარეობს კრედიტების სიების დაზუსტებაც.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კორექციამდე

პირველი გვერდიდან

საინიციატივო ჯგუფებმა 12 აგვისტომდე უნდა წარადგინონ ხელმოწერები საარჩევნო ოლქის ფარგლებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 პროცენტისა. ქვეყნის მასშტაბით 11 დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატია წარდგენილი.

კანდიდატები პარტიების გარეშე კენჭისყრას სამგორის, ქუთაისის, თელავის, თიანეთის, მარნეულის, მცხეთის, ხარაგაულის, ვანის, სენაკის, ზუგდიდის და ხულოს ოლქებში აპირებენ. თუ მოქმედი დეპუტატი გადაწყვეტს, დამოუკიდებელ კანდიდატად იყაროს კენჭი, მას ხელმოწერების შეგროვება არ სჭირდება. თუმცა, დამუკიდებელ კანდიდატებს დეპოზიტზე 5 000 ლარის განთავსება მოუწევთ, რომელსაც ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებენ, თუ შესაბამის ოლქში ხმების, მინიმუმ, 10 პროცენტს მოიპოვებენ.

პოლიტიკურ პარტიებს კი მაჟორიტარი კანდიდატებისა და პროპორციული სიების წარდგენა პირველ სექტემბრამდე შეუძლიათ.

დასრულდა პარტიების განაცხადების მიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი 17-მა პოლიტიკურმა პარტიამ გამოთქვა. უსკო-ს ცნობით, მათგან 4 პარტია უკვე რეგისტრირებულია.

პარტიები საარჩევნო კამპანიაში 2-დღიან ტაიმ-აუტს იღებენ

დათო გამისონია

"ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი გუშინ გამოვიდა ინიციატივით, რომ 7-8 აგვისტოს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 4 წლისთავზე, პოლიტიკურმა პარტიებმა საარჩევნო კამპანიაში 2-დღიანი პაუზა აიღონ.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს არის პერიოდი, როდესაც ყველამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს საქართველოს ისტორია და პატივი მიაგოს რუსეთის აგრესიის გამო დაღუპულებს. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ საქართველოს თავისუფლება და ტერიტორიული მთლიანობა ის საკითხებია, რომლებშიც ყველა პოლიტიკური ძალა ერთიანი უნდა იყოს. **"7 და 8 აგვისტოს "ნაციონალური მოძრაობა" საარჩევნო კამპანიას წყვეტს. 2 დღის განმავლობაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კარდაკარის კამპანიას, ბუკლეტების დარიგებას, საარჩევნო რეკლამას და საჯარო შეხვედრებს დროებით შეაჩერებს. "ნაციონალური მოძრაობის" წევრები მხოლოდ სახელმწიფო ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას. ისინი თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულებს პატივს მიაგებენ,** - აღნიშნა მაჭავარიანმა და ოპოზიციურ პარტიებსაც მიმართა, - **ოპონენტებს ვთავაზობთ და მოვუწოდებთ, რომ ამ ორი დღის განმავლობაში პოლიტიკური აქტივობისგან თავი შევიკავოთ. იმ ვაჟკაცებს, ვინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და თავისუფლებას შესწირა თავი, ერთად მივაგოთ პატივი."** მან იქვე დასძინა, რომ პარტია ამ ნაბიჯს ცალმხრივად ნებისმიერ შემთხვევაში გადადგამს.

მალევე "ნაციონალური მოძრაობის" მოწოდებას კოალიცია "ქართული ოცნება" შეუერთდა. **"ამ ინიციატივას ვიზიარებთ, 7-8 აგვისტოს საარჩევნო კამპანიას ვწყვეტთ და მიგვაჩნია, რომ ეს სწორი ინიციატივაა. შესაბამისად, ამ ორი დღის განმავლობაში არაფერს ვაკეთებთ. კოალიციის ტრადიციული ბრიფინგი ჩატარდება, თუმცა ის საინფორმაციო ხასიათის იქნება,"** - აღნიშნა "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ.

კოალიცია "ქართული ოცნების" წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა კი "24 საათს" უთხრა, რომ **"ნაციონალური მოძრაობა" პარტიულ საარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს, ამიტომ მათ არც არაფერი აქვთ შესაწყვეტი. "მინისტრები, მერები, გუბერნატორები დადიან და შეხვედრებს მართავენ, თუმცა ეს არა პარტიული, არამედ სახელმწიფო ღონისძიებებია, რომლებიც პარტიულ მიზნებს ფარულად ემსახურება,"** - შენიშნავს ზაქარია ქუცნაშვილი.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრი ლევან ვეფხვაძე "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ პარტია 7 და 8 აგვისტოს აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას არ აპირებდა. **"ჩვენი მიზანი ისედაც იყო ამ დღეების ხსოვნისთვის მიძღვნა. იმისთვის, რომ პატივი მივაგოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღუპულ ადამიანებს, მიხეილ მაჭავარიანის შეხსენება და ჭკუის სწავლება არ გვჭირდება,"** - აღნიშნავს ვეფხვაძე. "ქრისტიან-დემოკრატები" დღეს გორსა და სენაკში აპირებენ ჩასვლას. **"კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, - ამბობს ვეფხვაძე, - მთელი ჩვენი კამპანიის მთავარი გზავნილია - ერთიანი საქართველო ყველა თაობისთვის, ეს ნიშნავს, რომ "ქრისტიან-დემოკრატებისთვის" ქვეყნის ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა გადამწყვეტია."**

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეც ამბობს, რომ პარტიას 7-8 აგვისტოს ღონისძიებების შეჩერება მანამდე ჰქონდა დაგეგმილი, ვიდრე ამას მიხეილ მაჭავარიანი იტყოდა. **"8 აგვისტოს გორში ვაპირებთ ჩასვლას. სხვა აქტიურ საარჩევნო ღონისძიებებს არ ვგეგმავთ,"** - აღნიშნავს გამყრელიძე.

"ლეიბორისტიულ პარტიაში" "24 საათს" უთხრეს, ამ საკითხის შესახებ საგანგებო განცხადებას პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი დღეს გააკეთებს.

"ბურჯის" ობიექტებზე ქონების აღწერა დაიწყო

აღსრულების ბიუროს წარმომადგენლები შპს "ბურჯის" ობიექტებზე შევიდნენ - "ბურჯის" ორხევის სასაწყობე მეურნეობაში, ნავთლუღში მდებარე მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამსახურში, სოლოლაკის ხეივანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში და ასევე, აგრეთვე საჩხერის რაიონში მდებარე ობიექტში.

აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა გუშინ შპს "ბურჯის" ობიექტებში ქონების აღწერის პროცედურები დაიწყეს, რისი დასრულების შემდეგაც ობიექტი დაცვის პოლიციას გადაეცემა.

როგორც შპს "ბურჯის" ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსმა, გიორგი ლილუაშვილმა განაცხადა, კომპანიის ორხევის საწყობში აღსრულების ბიუროს თანამშრომლები გუშინ, დილის 8 საათზე შევიდნენ, დაცვის პოლიციასთან ერთად, მოითხოვეს ტერიტორიიდან თანამშრომლების გასვლა და შესასვლელის ბლოკირება მოახდინეს. მისივე თქმით, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებს არ წარუდგენიათ არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იურიდიულად გაამყარებდა მათ მოქმედებებს. ლილუაშვილის განცხადებით, სიტყვიერი განმარტებით ბიუროს თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ხდება აღსრულება ახალი მფლობელის სასარგებლოდ. **"თუმცა, არ არსებობს არც ერთი იურიდიული დოკუმენტი, მათ შორის არც ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც განსაზღვრულია ახალი მფლობელის ვინაობა,"** - აცხადებს ლილუაშვილი. მისივე თქმით, "ბურჯის" წარმომადგენლები იხსნიან პასუხისმგებლობას შენობაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

შპს "ბურჯში" დაწყებულ პროცედურასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

"ელექტრონული აუქციონი შპს "ბურჯის" ქონებაზე 2 აგვისტოს დასრულდა. გამოვლინდა გამარჯვებული, რომელმაც აღნიშნული ქონება 8 761 513 55 ლარად შეიძინა. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, აუქციონზე გამარჯვებულმა თანხა 10 დღის განმავლობაში უნდა დაფაროს სრულად, რის შემდეგაც, ის გახდება ქონების საბოლოოდ შემძენი. შესაბამისად, შემძენს ქონება უნდა გადაეცეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს ფართების გამოთავისუფლებას და მათ მომზადებას ახალი მესაკუთრისათვის გადასაცემად," - ნათქვამია განცხადებაში

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე შპს "ბურჯს" ჯარიმის სახით დაეკისრა 11 018 105 ლარის გადახდა, მას ასევე გადასახდელად დაეკისრა აღსრულების საფასური 771 267,35 ლარის ოდენობით. რის საფუძველზეც განხორციელდა შპს "ბურჯის" ქონების ელექტრონულ აუქციონზე გატანა, სადაც ქონება 8 761 513.55 ლარად გაიყიდა. საჯარო აუქციონზე "ბურჯის" ქონების საწყისი ფასი 5 153 831.50 ლარს შეადგენდა.

ვანო მერაბიშვილი რთველისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გურჯაანის ღვინის ქარხანას ესტუმრა და მოახლოებული რთველისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, ქარხნის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ვანო მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ სტიქიის გამო კახეთში ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილის განადგურების მიუხედავად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს დარჩენილი მოსავლის ჩაბარებასა და გადამუშავებას.

მერაბიშვილი ცისტერნების აწყობაში მონაწილე უჟანგავი ლითონის შემდუღებელსაც გაესაუბრა და აღნიშნა, რომ ეს პროფესია დღეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია ქართულ დასაქმების ბაზარზე. ქარხანაში არსებული უახლესი ტექნოლოგიები ყურძნის დახარისხებისა და შემდგომ მათი სხვადასხვა დანიშნულებებით (მაღალი ხარისხის ღვინო, კონცენტრატები, სპირტი) გამოყენების საშუალებას იძლევა.

მთავრობის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, გურჯაანის ღვინის ქარხანამ, რომელიც სახელმწიფო კომპანიაა, გასულ წელს 11000 ტონა ყურძენი ჩაიბარა. წელს ქარხანამ საკუთარი სიმძლავრეები 4500 ტონის მოცულობის ღვინის შესანახი ცისტერნებით, მათ შორის 3000 ტონის მოცულობის იტალიური წარმოების ცისტერნებით გაზარდა. შემოიტანა 1600 ცალი ფრანგული მუხის კასრიც, რომელიც ღვინის კარგი ხარისხით დაძველებას უზრუნველყოფს. ასევე, აეწყო ღვინის ჩამოსასხმელი ხაზი, რომელსაც საათში 6000 ბოთლის წარმოება შეუძლია. შედეგად, მიმდინარე წელს გურჯაანის ღვინის ქარხანა მზად არის, კახელი გლეხებისგან 20000 ტონა ყურძენი ჩაიბაროს.

თავდაცვის მინისტრმა მედიას სამინისტროს ახალი კონცეფცია გააცნო

საქართველოს თავდაცვის უწყების ახალი სამოქმედო დოკუმენტი ე.წ. 3T-ს პრინციპს ეფუძნება და ტოტალურ ზრუნვას, ტოტალურ წვრთნასა და ტოტალურ თავდაცვას გულისხმობს. მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა კონცეფცია გუშინ მედიის წარმომადგენლებს გააცნო.

მინისტრის თქმით, სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური ზრუნვის კომპონენტებია: ჯანდაცვა; განათლება; შეღავათები ტრანსპორტზე; საბანკო შეღავათები; ფინანსური წახალისება და დასაქმება; საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; დასვენება.

შაშკინის განცხადებით, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის ჯანდაცვის მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზების გარდა, თავდაცვის სამინისტრო ყველა სამხედროსთვის და მათი ოჯახებისთვის განათლების ხელმისაწვდომობაზეც იწყებს ზრუნვას. თავდაცვის სამინისტრო 2013 წლიდან ბაკალავრიატში 4-წლიან სწავლებას დაუფინანსებს ყველა იმ პირს, რომელმაც უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა, თუმცა სახელმწიფო გრანტი ვერ მოიპოვა და სწავლის საფასურს ვერ იხდის. ასეთ ადამიანს თავდაცვის სამინისტრო სთავაზობს ერთწლიან სავალდებულო სამსახურს ჯარში, რის შემდეგაც მისი სწავლება სრულად დაფინანსდება.

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება საკონტრაქტო სამსახურს მეორე ვადითაც გააგრძელებს, მას თავდაცვის სამინისტრო მაგისტრატურაში სწავლის საფასურს დაუფინანსებს.

შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების საზღვარგარეთ სამხედრო სასწავლებლებში სწავლების ხარჯებს დაფარავს.

ტოტალური ზრუნვა ასევე გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების უზრუნველყოფას საცხოვრებელი ფართით.

3T-ს კონცეფციის დანარჩენი ორი პრინციპი ტოტალურ წვრთნასა და ტოტალურ თავდაცვას ეფუძნება.

მინისტრს მიაჩნია, რომ ნატო-ში ინტეგრაციისთვის აუცილებელია, სახელმწიფოს კარგად მომზადებული და გაწვრთნილი ჯარი ჰყავდეს.

ტოტალური თავდაცვა კი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას გულისხმობს, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, შაშკინის თქმით, რეზერვის არსებობა და გაძლიერებაა.

ევროკავშირი სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარება

კახეთში, სამცხე ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის ევროკავშირი 118 590 ევროს გამოყოფს. ეს დახმარება გაიცემა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მეშვეობით, რომელიც, თავის მხრივ, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციების კომიტეტის ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდის (DREF) დაფინანსებით მოქმედებს.

დაფინანსების ფარგლებში დაზარალებულებს დაურიგდებათ ლეიბები, საბნები, საკვების დასამზადებელი და ჰიგიენის საშუალებები და ცელოფანის/ბრეზენტის საფარი.

ევროკომისიის განმარტებით, ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდი, ძირითადად, მცირემასშტაბიანი კატასროფების შედეგების დაძლევას ემსახურება და ოფიციალური საერთაშორისო განაცხადების შემოტანას არ საჭიროებს.

ბუნებრივი კატასტროფების დახმარების საგანგებო ფონდი დონორთა შემოწირულობების ხარჯზე ფუნქციონირებს. ყოველ ჯერზე, როდესაც წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციას ბუნებრივი კატასტროფის შედეგების აღმოფხრისთვის საგანგებო ფინანსური დახმარება ესაჭიროება, მას ამ ფონდიდან თანხების მოთხოვნა შეუძლია.

თავხედური თავდასხმა ეგვიპტე-ისრაელის საზღვარზე

პირველი გვერდიდან

ეგვიპტის ტელევიზიის გადმოცემით, ბედუინების ფორმაში (სხვა ინფორმაციით, სამხედრო ფორმაში) გამოწყობილმა მებრძოლებმა, რომელთაც სახე ნიღბებით ჰქონდათ დაფარული, საგუშაგო ავტომატებითა და ყუმბარსატყორცნებით ჩაცხრილეს და შეჯავშნული მანქანები გაიტაცეს.

ებრაელი სამხედროების თქმით, ორი შეჯავშნული ავტომობილი, რომელშიც შეიარაღებული მებრძოლები ისხდნენ, შეეცადა, საზღვარი გაერღვია. ერთ-ერთი მათგანი ეგვიპტის ტერიტორიაზევე აფეთქდა, ხოლო მეორემ გადაკვეთა საზღვარი და ის ისრაელის საჰაერო ძალებმა გაანადგურეს. ისრაელის არმიის გენერალმა იოავ მორდეჰაიმ განაცხადა, რომ ასეთი სახის თავდასხმისთვის სამხედროები მზად იყვნენ, ამიტომაც გაძლიერებული იყო პატრულირება ეგვიპტის საზღვარზე. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა განაცხადა, რომ ისრაელის ძალებმა "ხელი შეუშალეს თავდასხმას, რომლის შედეგადაც შესაძლოა დაზარალებულიყო ბევრი ადამიანი". მან ასევე მოუწოდა ეგვიპტის ხელისუფლებას, გააკეთონ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რომ შეწყდეს ტერორისტული მოქმედებები სინას ნახევრაკუნძულზე.

ეგვიპტის ტელევიზიის ინფორმაციით, რაფაჰის სასაზღვრო პუნქტი, ეგვიპტის საზღვართან დაიხურა გაურკვეველი დროით, ისრაელის და ეგვიპტის სამხედროები ეძებენ გადარჩენილ მებრძოლებს, რომლებიც საგუშაგოზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ. ისრაელმა სასაზღვრო ტერიტორიაზე მცხოვრებლებს მოუწოდა, არ დატოვონ სახლები.

ეგვიპტის ახალმა პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ ქვეყნის სამხედრო საბჭოს საგანგებო სხდომა ჩაატარა. მან განაცხადა, რომ "უპასუხოდ არ დატოვებს ჩადენილ დანაშაულს და დაისჯება ყველა, ვინც ამ თავდასხმის უკან დგას, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი - ეგვიპტის ტერიტორიაზე თუ მის საზღვრებს გარეთ."

ბევრი ამ თავდასხმას განიხილავს, როგორც მტკიცებულებას იმისა, რომ მებრძოლი ისლამისტები სინას ნახევარკუნძულზე ძლიერდებიან. გასულ

წელს ეგვიპტის ხელისუფლებამ იქ დამატებითი ჯარები უკვე გაგზავნა. ეგვიპტის ტელევიზიამ თავდასხმაში ისლამისტური შეიარაღებული ფორმირებები დაადანაშაულა. ეგვიპტის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ თავდამსხმელებს უწოდა "ჯიჰადისტები ღაზის სექტორიდან."

პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" ხელმძღვანელობამ მოჰამედ მურსის (ეგვიპტის პრეზიდენტი მათი წარმომადენელია) მოუწოდა, გააკეთოს ყველაფერი სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტის სუვერენიტეტის აღსადგენად და შეიარაღებული ბანდების ლიკვიდაციისთვის.

საერთაშორისო საინფორმაცია საagენტოების ცნობით, შეტაკების უკან დგანან ტერორისტები სინას ნახევარკუნძულიდან და პალესტინელი მებრძოლები ღაზას სექტორიდან. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ესენი იყვნენ "ალ-ჯიჰადის" დაჯგუფების წევრები და სხვა. თუმცა არც ერთი ინფორმაცია ჯერჯერობით არ მტკიცდება.

ზოგიერთი მონაცემებით, თავდამსხმელთა ნაწილმა საკონტროლი გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე წინასწარ შეაღწია. ზოგი ჯარისკაცი ცივი იარაღით არის მოკლული. მათ შორის არიან ის ჯარისკაცები, რომლებიც მორიგეობის შემდეგ სადილობდნენ. საპასუხო სროლისას განადგურებულია 17 თავდამსხმელი. დაზუსტებული ინფორმაციით, მათგან შვიდი ისრაელის სამხედროების ცეცხლის შედეგად არის ლიკვიდირებული, აქედან ოთხი - ისრაელის ტერიტორიაზე, სამი - ეგვიპტის ტერიტორიაზე. გატაცებული სამი შეჯავშნული ავტომანქანიდან ერთის ბედი ჯერ უცნობია.

თავდასხმა დაგმო თვით "ჰამასმა", რომელიც ღაზის სექტორს აკონტროლებს და სამძიმარი გამოუცხადა დაღუპული ეგვიპტელი სამხედროების და პოლიციელების ოჯახებს. მათაც სასწრაფოდ დაკეტეს ღაზის სექტორიდან ეგვიპტეში გამავალი გვირაბები.

ბელარუსმა შვედეთის ელჩი გააძევა

ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვედეთის ელჩს ამ ქვეყანაში სტეფან ერიქსონს აკრედიტაცია აღარ გაუგრძელა. შვედეთის მხარემ კი საპასუხოდ განაცხადა, რომ 3 ბელარუს დიპლომატს ქვეყნიდან გააძევებს.

სავარაუდოდ, დიპლომატიური სკანდალი დაკავშირებულია ბელარუსის თავზე შვედეთის პატარა თვითმფრინავის უკანონო ფრენასთან, რომელმაც ივლისის დასაწყისში, პატარა ქალაქ ივენეცსა და ბელარუსის დედაქალაქის გარეუბნებში სათამაშო "დათუნიები" გადმოყარა, რომლებზეც მიბმული იყო პროკლამაციები სიტყვის თავისუფლების მხარდასაჭერად. თუმცა ოფიციალურად ბელარუსის ხელისუფლება დიპლომატიურ ინციდენტს ამ ფაქტს არ უკავშირებს.

ინფორმაცია შვედეთის ელჩის გაძევების შესახებ პარასკევს გავრცელდა. ამის შესახებ განცხადება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა გააკეთა. "ლუკაშენკოს რეჟიმმა შვედეთის ელჩი იმიტომ გააძევა, რომ ის მხარს უჭერდა ადამიანის უფლებებს. აღმაშფოთებელია!" - დაწერა ბილდტმა სოციალურ ქსელ "ტვიტერზე". მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ამის საპასუხოდ სტოკჰოლმში არ სურთ იხილონ ბელარუსის ახლად დანიშნული ელჩი და "კიდევ ორ სხვა დიპლომატს ქვეყნის დატოვება სთხოვეს."

პარასკევს, საღამოს ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მათ შვედეთის ელჩი სტეფან ერიქსონი ქვეყნიდან არ გაუგდიათ (ანუ პერსონა ნონ-გრატად არ გამოუცხადებიათ), უბრალოდ, მიიღეს გადაწყვეტილება, მისი აკრედიტაცია არ გაეგრძელებინათ. "ბატონი სტეფან ერიქსონი მინსკში შვიდი წელი მუშაობდა. ეს დიდი დროა. მთელი ამ დროის განმავლობაში მისი საქმიანობა მიმართული იყო არა ბელარუსის და შვედეთის ურთიერთობების განმტკიცებისკენ, არამედ მის განადგურებისკენ," - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი სავინიხმა. მისი სიტყვებით, ბელარუსი მზად არის შვედეთთან დიალოგზე, მაგრამ "თუ შვედეთის მხარე სიტუაციის გამწვავებას მომავალშიც გააგრძელებს, ჩვენ იძულებულები ვიქნებით, ადეკვატურად ვიმოქმედოთ."

შვედეთის ელჩის სახელს კრიტიკულად მოიხსენიებდნენ ქვეყნის მთავარი გაზეთის "სოვეტსკაია ბელარუსიას" გვერდებზე, როდესაც შვედეთის პატარა თვითმფრინავის მიერ მათი ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევას მიმოიხილავდნენ. მსუბუქძრავიანმა თვითმფრინავმა არასანქცირებულად დაახლოებით საათ-ნახევარი გაატარა ცაში ბელარუსის თავზე 4 ივლისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისა და პომპეზური სამხედრო აღლუმის შემდეგ დილას.

ფრენის ამსახველი ვიდეოკადრები და ბელარუსის ქალაქების რბილი სათამაშოებით "დაბომბვა" შვედეთის "სტუდიო ტოტალის" თანამშრომლებმა ინტერნეტის საშუალებით გაავრცელეს. თუმცა ბელარუსის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები

ორი კვირის განმავლობაში უარყოფდნენ, რომ ქვეყნის საჰაერო სივრცე დაირღვა.

მხოლოდ ივლისის ბოლოს აღიარა პრეზიდენტმა ლუკაშენკომ საზღვრის დარღვევის ფაქტი და სამხედროები დასაჯა. მან თანამდებობიდან გაათავისუფლა სახელმწიფო საზღვრის კომიტეტის ხელმძღვანელი იგორ რაჩკოვსკი და სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეთაური დმიტრი პახმელკინი. მთელ რიგ მაღალი რანგის გენერლებს, მათ შორის, თავდაცვის მინისტრსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს საყვედურები გამოუცხადეს.

ბელარუსის ოფიციალური პრესაც პრეზიდენტის განცხადებების შემდეგ "მისდგა" შვედ პოლიტიკოსებს და ელჩს სტეფან ერიქსონს. "სოვეტსკაია ბელარუსიამ" ელჩი ბელარუსის მიმართ "გადაჭარბებულ ინტერესში" დაადანაშაულა, რის "ნათელ დადასტურებადაც" ის მოიყვანა, რომ ერიქსონი საკმაოდ კარგად ლაპარაკობს ბელორუსულად. ის ინტერესს იჩენდა ბელარუსის ტრადიციებისა და კულტურის მიმართ, რის გამოც ბელარუსის დამოუკიდებელი პრესა მას აქებდა.

"სათამაშოებით დაბომბვის" სკანდალისთვის ბელარუსის რიგითი მოქალაქეებიც ისჯებიან. სტუდენტი ანტონ სურიაპინი და მინსკელი რიელტორი სერგეი ბაშარიმოვი, რომელთაც ბრალად ედებათ უკანონოდ საზღვრის გადაკვეთაში თანამონაწილეობა, კვლავ "სუკ"-ის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

ანტონ სურიაპინი პირველი იყო, ვინც თავის ინტერნეტსაიტზე შვედების მიერ ჩატარებული აქციის სურათები გამოაქვეყნა. ხოლო სერგეი ბაშარიმოვი, სამართლადამცავების თქმით, შესაძლოა, ქვეყანაში კანონიერად შემოსულ შვედებს საცხოვრებლის დაქირავებაში ეხმარებოდა. დაკავებულებისთვის ოფიციალური ბრალდება ჯერ არ წაუყენებიათ.

ადამიანის უფლებათადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "საერთაშორისო ამნისტიამ" ანტონ სურიაპინს სინდისის პატიმარი უწოდა და ბელორუსის ხელისუფლებას მისი და ბაშარიმოვის განთავისუფლება მოსთხოვა. ბელარუსის ჟურნალისტთა ასოციაციამ რამდენიმე დღის წინ სთხოვა გაეროს სპეც-მომხსენებელს თავისუფალი აზრის დაცვის საკითხებში ფრანკ ლა რუს, რომ ასოციაციის წევრის, სტუდენტისა და ჟურნალისტის სურიაპინის ბედში ჩაერიოს. მათ, ასევე, ბანკში ანგარიში გახსნეს იმისთვის, რომ ადვოკატის ასაყვანად თანხა შეაგროვონ.

მოამზადა
სალომე ჯანიაშვილმა

ტერაქტი გროზნოში

ივა შილაკაძე

ჩეჩნეთის დედაქალაქში გუშინ თვითმკვლელმა ტერორისტებმა განახორციელეს სხვადასხვა მონაცემებით ერთი თუ ორი აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა 4 და დაიჭრა სამი ადამიანი. აფეთქება მოხდა ოქტომბრის რაიონში, სამხედრო საქონლის მაღაზიისა და პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ახლოს.

დაღუპულებიდან სამი სამხედრო პირია, შინაგანი ჯარების ორი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი, რომელიც კონტრაქტით მსახურობდა. დაღუპულებიდან ერთი სამოქალაქო პირია. ზოგი ვერსიით ის შეიძლება იყოს თვითონ ტერორისტი. ადგილზე ნაპოვნია შახიდის ქამრის ნარჩენებიც. სხვა მონაცემებით მოქმედებდა ორი თვითმკვლელი ტერორისტი. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ დაღუპულების რაოდენობა ზუსტად არ არის მითითებული ან უბრალოდ დაღუპულებში ანგარიშობენ მხოლოდ მსხვერპლებს და არა თვით ტერორისტებს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით აფეთქება გაისმა მაშინ, როდესაც შეჯავშნული გაზელიდან სამხედროები გადმოვიდნენ. სხვა ვერსიით აფეთქება მოხდა გეგმიური განაღმვითი სამუშაოების დროს.

საქმე აღძრულია რამდენიმე მუხლით: "ტერაქტი", "სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა", "იარაღის უკანონო დამზადება", "იარაღის უკანონო ბრუნვა" გამოძიება მიმდინარეობს და სამართალდამცავები ცდილობენ იპოვონ ტერაქტის შემკვეთები და თანამონაწილეები.

თუმცა გუშინ ჩეჩნეთის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა უკვე დაასახელა ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორები. მისი ვერსიით ესენი შე-

იძლება იყვნენ ძმები მუსლიმ და ჰუსეინ გაკაევები. კადიროვის განკარგულებით გამოძიებაში ჩართული არიან ყველაზე გამოცდილი სპეციალისტები.ჩეჩნეთის ხელმძღვანელის განცხადებით სასურველია მათი დაკავება, უკიდურეს შემთხვევაში კი ნეიტრალიზაცია.

ძმები გაკაევები არალეგალური შეიარაღებულ ფორმირებათა ტერმინოლოგიით "ამირების" წოდებას ატარებენ. ჰუსეინი ჩეჩენი სეპარატისტების ერთ-ერთი ლიდერია და ცნობილი საველე მეთაურია. ის "ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის" შეიარაღებული ძალების მეთაურად მიიჩნევა. ადრე დოკუ უმაროვს დანიშნული ყავდა შინაგან საქმეთა მინისტრად და "კავკასიის იმარატის" ჩეჩნეთის ვილაეთის ხელმძღვანელად. მისი ძმა მუსლიმი აღმოსავლეთის ფრონტის შალის მთიანი სექტორის მეთაურია.

თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორციელებული წინა მასშტაბური ტერაქტი გროზნოში დაახლოებით ერთი წლის წინ 2011 წლის 30 აგვისტოს განხორციელდა. მაშინ სამ აფეთქებას 8 ადამიანი შეეწირა და 22 კი დაიჭრა.

მადონა შესაძლოა PUSSY RIOT-ის მხარდამჭერების პროტესტს შეუერთდეს

"სექს პისტოლზის" ყოფილმა ფრონტმენმა Pussy Riot-ს სოლიდარობა გამოუცხადა

ია ვეკუა

დღეს მოსკოვის ოლიმპიურ სტადიონზე მადონას კონცერტია დაგეგმილი, თუმცა აუდიტორიის გარკვეული ნაწილი, მისი მუსიკისა და თამამი საქციელის ხილვის ნაცვლად, იმას უფრო ელოდება, გამოხატავს თუ არა პოპდედოფალი სოლიდარობას ჯგუფ Pussy Riot-ის დაკავებული წევრების მიმართ. ამის შესახებ ბრიტანული The Guardian-იც წერს, რომელიც რუსი პანკმუსიკოსების საქციელს მადონას მრავალი წლის წინანდელ ქმედებასაც ადარებს, როდესაც ამ უკანასკნელმა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ისე გააბრაზა, ლამის ანათემას გადასცეს.

უკანასკნელ პერიოდში Pussy Riot-ის დაპატიმრებული წევრების მიმართ სიმპათია და მხარდაჭერა უკვე იმდენმა ვარსკვლავმა გამოხატა, მადონას სულაც რომ არ უნდოდეს, მაინც მოუწევს სიტყვის დასველება, თუმდაც იმისთვის, რომ მსმენელის კეთილგანწყობა დაიმსახუროს და არც კოლეგებს ჩამორჩეს. თუმცა მადონას გაქანების მქონე ქალბატონს ალბათ ნაკლებად ადარდებს სხვისი აზრი, მით უმეტეს, პუტინისა, რომლის გაქილიკების შანსსაც ნამდვილად არ გაუშვებს ხელიდან.

ამასობაში კი რუსეთის მთავრობის სინდისის პატიმრებად შერაცხული გოგონები, რომლებსაც ეკლესიაში მოწყობილი ანტიპუტინური გამოსვლისთვის ხანგრძლივი პატიმრობა ელით, თავს სულ უფრო კომფორტულად გრძნობენ, რადგან მათ მხარდასაჭერად ისეთი ლეგენდარული მუსიკოსები გამოდიან, ვისთან შედარებითაც მადონა დაახლოებით ისაა, რაც ქეთა თოფურია ალა პუგაჩოვასთან.

მაგალითად, ორიოდე დღის წინ Pussy Riot-ისადმი სოლიდარობა თვით ჯონ ლაიდონმა, საკულტო Sex Pistols-ის ექსფრონტმენმა გამოხატა, როდესაც თავის ამჟამინდელ ჯგუფთან, Public Image Limited-თად ერთად ბლეკპულის პანკფესტივალ Rebellion-ში მონაწილეობდა. დაპატიმრებულ გოგონებს ლაიდონმა სიმღერა Religion მიუძღვნა, მანამდე საკმაოდ მგზნებარე პოლიტიკური შინაარსის სიტყვა წარმოთქვა, ბოლოს კი დაამატა: "ამ სიმღერას და მთელ კონცერტს Pussy Riot-ს, ნამდვილ მეგობრებს ვუძღვნი."

რამდენიმე დღის წინ კი ოსლოში გამართულ კონცერტზე პანკი გოგონების მხარდასაჭერი სიტყვით გამოვიდა ასევე ლეგენდარული პატი სმიტიც. როგორც მან სცენიდან აღნიშნა, გოგონები მხოლოდ იმაში არიან დამნაშავე, რომ ახალგაზრდები, ლამაზები და თავდაჯერებულები არიან, და მკერდზე აიფარა მაისური წარწერით "Putin has pissed himself. Free Pussy Riot!"

რუსი პანკებისადმი სოლიდარობის გამომხატველთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა უფრო შთამბეჭდავი მათი სახელებია. მოსკოვში ბოლო დროს საკმაოდ ბევრი სერიოზული ჯგუფის კონცერტი ჩატარდა, რომელთა ლიდერებსაც დაპატიმრებული კოლეგები არ დავიწყებიათ და მათდამი სიმპათია სხვადასხვა ფორმით გამოხატეს: Red Hot Chili Peppers-ის ფრონტმენმა, ენტონი კიდისმა მხოლოდ

პატი სმიტი

ენტონი კიდისი

სცენიდან გაკეთებული განცხადებები არ იკმარა და კონცერტზე მაისური ეცვა წარწერით Pussy Riot. გარდა ამისა, გაირკვა, რომ კიდისი საკმაოდ კარგად იცნობს გოგონების შემოქმედებას და მათ სასამართლოსაც ყურადღებით ადევნებს თვალს. ჯგუფის ბასისტმა ფლიმ კი პატიმრებს შემდეგი წერილი მისწერა: "თქვენს სიმამაცეს აპლოდისმენტს ვუძღვნი და თქვენი განთავისუფლებისთვის ვლოცულობ." დაახლოებით მსგავსი ტიპის სოლიდარობა გამოხატეს გოგონების მიმართ Faith No More-ისა და Franz Ferdinand-ის წევრებმა, ბიორკმა და პიტერ გაბრიელმა, ხოლო მოსკოვში ჩასულმა სტინგმა რუსეთის მთავრობის საქციელი გაცილებით მკაცრად გააკრიტიკა. თანაგრძნობასა და პროტესტს გამოხატავენ მსახიობებიც, მათ შორის არიან დენი დე ვიტო და ბრიტანელი სტივენ ფრაი, ფინელმა ჯაზმენმა იირო რანტლამ კი, პროტესტის ნიშნად, მოსკოვში დაგეგმილი კონცერტიც კი ჩაშალა, ხოლო რუსეთის მთავრობის საქციელი შუა საუკუნეებისდროინდელ აქტად შერაცხა.

შეგახსენებთ, რომ Pussy Riot-ის სამი წევრი - ნადეჟდა ტოლოკონიკოვა, ეკატერინა სამუცევიჩი და მარია ალიოხინა მიმდინარე წლის თებერვალში დააპატიმრეს, მას შემდეგ, რაც მოსკოვის ერთ-ერთ ტაძარში ანტიპუტინური პერფორმანსი მოაწყვეს. საკუთარი გამოსვლა ჯგუფის წევრებმა კამერით გადაიღეს, მასალა კი იმ კლიპში მოხვდა, რომელიც სიმღერისთვის Бунт в России - Путин зассал გადაიღეს. სიმღერის ტექსტში შემდეგი სიტყვები ჟღერს: Богородица, Путина прогони. ცხადია, გოგონებს ასეთ საქციელს არ აპატიებდნენ, ისინი რამდენიმე დღეში დააპატიმრეს და ხულიგნობის ის მუხლი წაუყენეს, რომელიც შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ჯგუფის წევრების საქმის განხილვა 30 ივნისს დაიწყო, რის შემდეგაც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Amnesty International-მა მათ სინდისის პატიმრების სტატუსი მიანიჭა, მსოფლიო ვარსკვლავებმა კი ზემოთ აღწერილი საპროტესტო მოძრაობა წამოიწყეს.

გერმანელები და რუსები - გამოფენა სისხლის გარეშე...

სოფო კილასონია

ივნისის ბოლოდან დაიწყო გერმანია-რუსეთის კულტურული წელი, ის, ძირითადად, კულტურული დიალოგით აღინიშნება. მაგრამ ეს დიალოგი საოცრად მასშტაბურ ღონისძიებებს წარმოადგენს. მათ შორის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ორმხრივი გამოფენა - "გერმანელები და რუსები - ისტორიის 1000 წელი". ის ჯერ მოსკოვში გაიხსნება, შემდეგ ბერლინს წაიღებენ. წინასწარ გვპირდებიან, რომ ამ ექსპოზიციაზე არ იქნება ის, რასაც ჩვენგან უმეტესობა აუცილებლად წარმოვიდგენთ - "არც იარაღი, არც სისხლი, არც ომი..."

ასეთი პროექტისა და, მით უფრო, ამ დაპირების შემდეგ არაერთი აზრი მოდის თავში. რაზე ისაუბრებენ რუსი და გერმანელი კურატორები ამ გამოფენით, თუკი გვერდს აუვლიან იმ მოვლენებს, რომელზე რეაქციაც ამ ორი ერისგან დღემდე ასი ათასობით მსხვერპლის შთამომავალს ჯიუტად აინტერესებს. გვაინტერესებს იმის მიუხედავად, რომ გარკვეული პასუხები და სინანული გამოხატულია. თუმცა გამოხატულებაში აბსოლუტური ჩემპიონია გერმანია, როგორ იაზრებს საბჭოთა კავშირის დანაშაულს რუსეთი - ამაზე საუბარი ძალიან რთულია, რადგანაც არა მხოლოდ არტისტულ წრეებში, არამედ თავად სამეცნიერო დისკურსში რუსეთი თითქმის მტრად აცხადებს ყველა მკვლევარს, რომელიც საბჭოთა კავშირის დანაშაულებრივ ქმედებაზე საუბარს საჯაროს ხდის.

მე-14 საუკუნის გერმანული რელიეფი "რუსი მონადირეები"

კიდევ ბევრი ვარაუდის თქმა შეიძლება ამ გამოფენის შესახებ, თუმცა ვარაუდი ნამდვილად არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ "გერმანელები და რუსები" ძალიან პოლიტიკური პროექტია, რომელსაც აბსოლუტურად გარანტირებული აქვს რუსეთ-გერმანიის მეგობრული პოლიტიკური ელიტის სიმპატიის დამსახურება. სიმპატია ფულს უდრის და აქვე იმასაც ვკითხულობთ, რომ პროექტი საოცრად მაღალბიუჯეტიანია.

გამოფენა 5 წლის განმავლობაში მზადდებოდა, ანუ იქამდე, ვიდრე გერმანია-რუსეთი "საერთო კულტურულ წელს" დაგეგმავდა. გამოფენის ორგანიზატორები არიან რუსეთის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი და გერმანიის პრუსიული კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. ანუ ფონდი, რომელიც სახელმწიფო სტრატეგიას ახორციელებს კულტურის სფეროში. მას შემდეგ, რაც გერმანია-რუსეთის კულტურული წელი დაიგეგმა და გამოფენა მთავარ მოვლენად იქცა, ორგანიზატორებს დამატებითი თანხების მოძიება გაუადვილდათ.

მეოცე საუკუნის ისტორიის ბნელი და სისხლიანი წლებისა და მოვლენების თავიდან არიდების ჩანაფიქრი გამოფენის შენაარსობრივ ფრაგმენტულობას განაპირობებს. თუმცა არის მეორე მხარეც, ეს გამოფენა ამ ორი ქვეყნის ისტორიის იმ მონაკვეთებს წარმოაჩენს, რომელიც მეოცე საუკუნის მათეულმა გამოცდილებამ მსოფლიო საზოგადოებისთვის დაჩრდილა. ამას გარდა, გერმანელები და რუსები მოიგონებენ იმას, რისი მოგონებაც დღეს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ - ერთობის, მსგავსებისა და საერთო დადებითი ინტერესების.

მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე... გარკვეულ ინტერვიუებში ამოვიკითხავთ საინტერესო ციტატებს. საორგანიზაციო ჯგუფში ჩართული პროფესორი ვილფრიდ მენგინი აღნიშნავს, რომ დიდი ექსპოზიცია ჰიპერტექსტების მიხედვით არის აგებული. შემდეგ კი განმარტავს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი არტეფაქტები, დოკუმენტაცია და სხვა ტიპის მასალა, რომლის გაცნობის შემდეგაც დამთვალიერებელი თავად მოიგონებს იმ პროცესებსა და მოვლენებს, რომელსაც ექსპოზიცია დაწვრილებით არ ეხება. აქვე იმასაც ამატებს, რომ აღნიშნული პროექტი პოტენციური სტუმრებისგან არა მხოლოდ გამძლეობა-ნებისყოფას საჭიროებს, არამედ ერუდიციასაც ითხოვს, რადგან იოლი არ იქნება ყველა წარმოდგენილი ექსპონატის შენიღბულ კონტექსტთან დაკავშირება.

სიმართლე გითხრათ, აღნიშნული პროფესორის და ორგანიზატორის მინიშნებები იმაზე უფრო საინტერესოა, ვიდრე პროექტის ევროპულ პრესაში წარმოდგენილი აღწერილობა. თუკი გავითვალისწინებთ რუსი და გერმანელი კულტუროლოგების სიბეჯითეს და იმას, თუ ძირითადად როგორი სიღრმის გამოფენებს მართავენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოფენა, რომელსაც ერთი შეხედვით ძალიან სწორხაზოვანი პოლიტიკური კონტექსტი აქვს, დატვირთული იქნება შრეებითა და რთულად, ძალიან რთულად დასაძლევი კონტექსტებით.

მეეჭვება, ქართულ მედიაში ამ დიდი პროექტის განხილვა უახლოეს ხანებში მოხდეს. ბევრად სავარაუდოა, ის რომელიმე ჩემმა კოლეგამ უკვე გვიან შემოდგომით ბერლინში მოინახულოს. სანახავი კი ნამდვილად არის. ის, რაზეც რუსები და გერმანელები საგამოფენო დარბაზებში დაფიქრდებიან, ირიბად, რიგ შემთხვევაში კი პირდაპირ ჩვენც შეგვეხება.

მაგარი ბიჭები

პირველი გვერდიდან



ბიგა ბურსაკოვსკის ფოტო

გეგეშიძეს ბრინჯაოს მედალი წაართვეს

მერვედფინალში ჯერ ეგვიპტელ შაშ ჰამიდს გაუსწორდა. მეოთხედფინალში კი რუს ზაურ ყურამაგომედოვს მიუჩინა ადგილი. სხვათაშორის კურამაგომედოვი რევაზს უნდა უმადლოდეს ბრინჯაოს მედალს. რაკი ლაშხი ფინალში გავიდა კურამაგომედოვსაც რეპეშაჟში მიეცა შანსი და ეს შანსი რუსეთის სახელიც მოასპარეზე ლეკმა ჩინებულად გამოიყენა.

ნახევარფინალში რევაზს კიდევ ერთი გამოცდა ელოდა აზერბაიჯანელი ჰასან ალიევის სახით. ჰასანი ერთ-ერთი წამყვანი ფალავანია თავის წონაში და რევაზს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად. პირველი პერიოდი ლაშხმა წააგო, მაგრამ მომდევნო 2-წუთეულებში ძალიან დამაჯერებელი იყო. ჰაერში აბურთავა მრისხანე მეტოქე და ფინალში გავიდა. აქ კი ირანელი ომიდ ჰაჯი ნოროოზი გადაეყარა.

ანუ ლაშხმა თითქმის ყველა ძლიერი მეტოქე დაამარცხა და ფინალისთვის უკვე ენერგია აღარ ეყო, ოლიმპიური თამაშების უმაღლეს მწვერვალზე ასასვლელად. მას პირდაპირი გაგებით ძალა არ ეყო, როცა პირველ პერიოდში ჩოქბჯენში მყოფი ირანელი ფალავანი ვერ მოიგდო ხელში და ვერ ააბურთავა. ამის გამო გამარჯვება ირანელს მიენიჭა. მეორე 2-წუთეულში კი ჰაჯი ბატონმა კიდევ ერთი ქულა აართვა რევაზს და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ბრავო რევაზს, მან ბოლომდე იბრძოლა. ვინც რევაზის შუბლი და მარჯვენა თვალი ნახა, დამეთანხმება. ყველა ბრძოლაში აქტიურობდა. ბევრიც მოხვდა, მაგრამ ფინალამდე მაინც მივიდა. რევაზ ლაშხმა საქართველოს პირველი ვერცხლის მედალი მოუტანა.

რომან რურუა - (მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი): "რევაზს ურთულესი ბადე ერგო და ამის მიუხედავად მან მოახერხა ისეთი ძიერი მეტოქეების დამარცხება, როგორებიც რუსი და აზერბაიჯანელი ფალავნები იყვნენ. ის აგრესიული და ტექნიკური მოჭიდავეა. ლაშხმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. განსაკუთრებით ნახევარფინალში, როცა პირველი პერიოდი წააგო და შემდეგ მოახერხა გარდატეხის შეტანა. ეს კი მხოლოდ მაღალი კლასის ფალავნებს შეუძლიათ. სამწუხაროა, რომ ფინალში იგივეს განმეორება ვერ შესძლო, მაგრამ ვულოცავ მას ამ წარმატებას."

ლონდონის ექსცელ არენაზე სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლები. ლაშხმა 60 კგ. წონაში მოიგო ვერცხლი. 84 კგ. წონით კატეგორიაში ჩვენი ქვეყნის ღირსება ვლადიმერ გეგეშიძე იცავდა. ლაშხის არ იყოს ვლადიმერმაც დამაჯერებლად დაიწყო ასპარეზობა. პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანელ ტამასების გაუსწორდა. მართალია 3 პერიოდში, მაგრამ გადამწყვეტი ილეთი მან შეასრულა და მომდევნო წრეში გავიდა. ამჯერად გეგეშიძის მეტოქე უკრაინელი ფალავანი რაჩიბა იყო. ესეც კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ლადოს აქაც სამი პერიოდი დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია. გადამწყვეტ მომენტში მან მოახერხა ლამაზი გდების გაკეთება და უკრაინელი ხალიჩის მიღმა მოისროლა.

მესამე წრე უიღბლო გამოდგა ქართველი ფალავნისთვის. ლადოს მეტოქედ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი, რუსეთის სახელით მოასპარეზე ალან ხუგაევი ერგო. გეგეშიძემ ხუგაევსაც გაუმართა ბრძოლა, მაგრამ ოსტატობა და ღონე არ ეყო იმისთვის, რომ გადამწყვეტი იერიში მიეტანა მეტოქეზე. ლადო დამარცხდა და რეპეშაჟში გადაინაცვლა, საიდაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ყაზახ დანიალკ გაჯიევს შეერკინა. არ მინდა მიკერძ ებული ვიყო, მაგრამ ამ შეხვედრაში არბიტრებმა აშკარად შესცოდეს და უკვე მერამდენედ ამ ტურნირზე გადაწყვეტილება შეცვალეს.

მესამე, გადამწყვეტ 2-წუთეულში ჩოქბჯენში ქართველი ფალავანი იმყოფებოდა. გაჯიევმა ილეთი წამოიწყო, ხიდზე გადავიდა, მაგრამ ვერ დაასრულა, პირიქით გეგეშიძის ქვეშ აღმოჩნდა. ამისთვის მსაჯებმა ქართველ ფალავანს მისცეს 2 ქულა, შემდეგ კი გადაწყვეტილება შეცვალეს, გააუქმეს გეგეშიძის ქულები. ყაზახს კი ერთი ქულა უბოძეს, რადგან ლადო ხალიჩის ზონის გარეთ აღმოჩნდა და გეგეშიძე მედლის გარეშე დარჩა.

მალხაზ ჯორბენაძე (საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი): "მსაჯები საერთოდ ბევრს სცოდავენ. ლადოს შემთხვევაში გაურკვევლობა შეიქმნა და ბულგარელმა არბიტრმა ყაზახი სპორტსმენის მხარე დაიჭირა. როცა ილეთს იწყებ ხალიჩის ზონაში მაგ დროს ბუნებრივია, რომ შეიძლება ზონის გარეთ აღმოჩნდე, რადგან გდებას აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში, თუ გდება დასრულებულია ორ ქულას იღებ, მაგრამ თუ არ არის დასრულებული ქულა მეტოქეს ეკუთვნის. სამწუხაროდ მსაჯებმა ილეთი დასრულებულად არ მიიჩნიეს, მაგრამ ყაზახს ქულა იმისთვის მიანიჭეს, რომ ლადო ხალიჩის ზონას გადასცდა. ეს საერთოდ აბსურდია. ილეთი ხალიჩის კიდეზე იყო დაწყებული და ბუნებრივია ფალავნები ზონას გადასცდებოდნენ. თუმცა, მსაჯებმა ასე განსაჯეს და ლადო მედლის გარეშე დატოვეს"

წარმატებული სტარტი ჰქონდა 120 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე გურამ სეფერთელაძესაც. გურამმა პირველ წრეში შანსი არ დაუტოვა ჩილელ აიუბ ვალენსუელას. აბზრიალა ხალიჩაზე და მეოთხედფინალში გავიდა. აქ უკვე გადაულახავი ზღუდე დახვდა კუბელი ლოპეს ნუნიესის სახით. კუბელი ფალავანი აშკარად აღემატებოდა გურამის შესაძლებლობებს და გურამიც დაემშვიდობა ოქროს მედლისთვის ბრძოლას. თუმცა, რაკი ნუნიესი ფინალში გავიდა, სეფერთელაძე რეპეშაჟში გადაერთო. რეპეშაჟის პირველ რაუნდს გურამმა ძალიან კარგად გაართვა თავი და გზიდან ეგვიპტელი გოლიათი ელტრაბილი ჩამოიცილა. აღსანიშნავია, რომ ამ 3-რაუნდიან ბრძოლაში გურამმა რამდენიმე შთამბეჭდავი გდება განახორციელა და დამსახურებულად მოიპოვა ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობის უფლება. აქ კი გურამს თურქი კაიაალპი დაუხვდა. ეს ფალავანი უაღრესად ჯანიანი გამოდგა და ისევე, როგორც კუბელთან შეხვედრაში სეფერთელაძეს უბრალოდ ძალა აღარ ეყო მეტოქის დასამარცხებლად.

საბოლოო ჯამში, სამივე ქართველმა ფალავანმა ღირსეულად იასპარეზა და მსაჯების დაუდევრობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ ბრინჯაოს მედალიც მოგვეპოვებინა. საქართველოს ნაკრებმა, ამჯერად ვერცხლის სინჯის მედალი მოიპოვა. ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის მესამე დღეს ასპარეზობაში ორი დარჩენილი წონითი კატეგორიის ფალავნები იბრძოლებენ. საქართველოს ღირსებას ცხადაია დაიცავს, რომლისგანაც, ლაშხის არ იყოს მედალს ველოდებით.

შტანგამ მაჭავარიანი იუცხოვა

პირველი გვერდიდან

მედლების Top 10

	I	II	III	სულ
1. ჩინეთი	**31**	**19**	**14**	**64**
2. აშშ	29	15	19	63
3. დიდი ბრიტანეთი	18	11	11	40
4. სამ. კორეა	11	5	6	22
5. საფრანგეთი	8	9	9	26
6. რუსეთი	7	17	18	42
7. იტალია	7	6	4	17
8. ყაზახეთი	6	0	1	7
9. გერმანია	5	10	7	22
10. უნგრეთი	4	1	3	8
33. საქართველო	**1**	**1**	**0**	**2**

არადა, ერთი დღით ადრე რუსთა ბანაკში ისეთი რამ მოხდა, რაც ქართველის და სხვათა შანსები ერთი ორად გაზარდა. საქმე ისაა, რომ ოლიმპიური თამაშების ფავორიტებად შერაცხული ხაჯიმურად აკაევმა და დმიტრი კლოკოვმა ლონდონურ ფიცარნაგზე გასვლისგან თავი შეიკავეს. აქაოდა ტრავმებიგვაქვსო. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, რუსეთის ნაკრების წევრებს დოპინგი ჰქონდათ მიღებული და ორწლიან დისკვალიფიკაციას საკუთარი ნებით შინ გამგზავრება ამჯობინეს.

დასანანი ისაა, რომ გია მაჭავარიანმა ვერანაირი შანსი ვერ გამოიყენა. მედალთან ახლოსაც კი არ მისულა. საწყის დისციპლინაში პირველ ცდაზე 185 კილოგრამი შეუკვეთა, მაგრამ ვერ დაძლია, მეორე მისვლაც ასევე წარუმატებელი გამოუვიდა და წონას მხოლოდ მესამე ცდაზე გაუმკლავდა.

ერთი სიტყვით, ატაცში წონა დააფიქსირა, და ჯერი აკვრაზე მიდგა. ბუნებრივია მედალზე ფიქრი უკვე გამორიცხული იყო, მაგრამ ერთგვარი რეაბილიტაციისთვის ყურადღება აკვრაზე გაამახვილა. შეუკვეთა 220 კილოგრამი, მაგრამ აქაც წარუმატებელი გამოდგა ქართველი ძალოსანის შტანგასთან მისვლა. წარუმატებელი გამოდგა მეორე მცდელობაც და მესამესთვის ვაბანკზე წასვლა ამჯობინა. ორჯერ დაუძლეველი 220 კილოგრამის შემდეგ მაჭავარიანი 225 კილოგრამს შეეჭიდა... რეაბილიტირება არ გამოვიდა. 105 კილოგრამში ჩემპიონობა უკრაინელ ალექსეი ტოროხტს დარჩა, ვერცხლი ირანელ ნავაბ ნასირშელალის, ბრინჯაო კი პოლონელ ვოიცეხ ბოკის.

და ბოლოს, კულისებში ნათქვამზეც. მაჭავარიანის ასეთი გამოსვლის შემდეგ ითქვა პრემიალურზე. ანუ იმაზე, თუ რამდენად უწევს დათვურ სამსახურს ჩემპიონობის სანაცვლოდ სპორტსმენისთვის მილიონების შეპირება.

ბოკოლადი და არგენტინა

ზურაბ თალაკვაძე

ლონდონში საჩოგბურთო კომპლექსი დაიხურა. ლონდონის ივენთისთვის დაიხურა და უიმბლდონზე ბალახს ისევ მოეფერებიან, შემდეგი სეზონისთვის შეინახავენ. ბიჭებში ენდი მარი შეუდარებელი იყო. გოგონებში სერენა უილიამსის რეგთაიმი წავიდა. ლონდონში გასაუბრებები ბალახზე იყო. ფავორიტები დაისვენებენ და სეზონის ბოლო სლემისთვის მოემზადებიან. ნიუ იორკში US Open იწყება. ლონდონიდან სამი კარგი პერსონა წამოვიყვანეთ. სამივემ მედალი აიღო. მაღალი არგენტინელი, ბუნჩულა ამერიკელი და მოსაწყენი ბრიტი. წავედით.

ხუან მარტინ დელ პოტრო

გაუპარსავი, ცოტა მოუქნელი, ცოტა ზანტი, ზედმეტად კეთილი და როჯერ ფედერერის ძმაკაცი. ეს დელ პოტროა. ლონდონში დელ პოტრომ არგენტინას პირველი მედალი დაუტოვა. დელ პოტრო არგენტინა იყო. როგორც ადრე, საბერძნეთი საქართველო რომ გახდა.

რვა წლის წინ ათენში ჩავედით. ზურაბ ზვიადაურის, გიორგი ასანიძის ამბები ჩვენი, ქართული იყო. მთელი ათენი საქართველო იყო და ქართულ სახლში პატარა სამოთხეა. არგენტინაც ბედნიერი იყო. არგენტინამ ათენში ორი მაგარი ოქრო დაირტყა. ფეხბურთში, პატარა და მოძრავი გენიოსებით. მეორე, კალათბურთში. ემანუელ ჯინობილის, ლუის სკოლას, რუბენ ვოლკოვისკის, ფაბრიციო ობერტოს უბანმა აიღო. ბიჭები თამაშის წინ იკრიბებოდნენ და ობერტო მოძრავ წრეში არგენტინის ისტორიიდან რაღაც ეპიზოდს იხსენებდა. იგივეს აკეთებდა ვოლკოვისკი. მანუ, ძირითადად, ხუმრობდა და სკოლა სხვებს უსმენდა. ამ საძმაკაცომ მოიგო ყველაფერი. ამ საძმაკაცომ შემოარტყა ტიმ დანკანის ამერიკას და ფინალში იტალიაც დაიჭრა.

ლონდონში არგენტინა დელ პოტრო იყო. ბაჯბაჯით, აგრესიული და ოდნავ მოუქნელი ხუან მარტინი იგებდა და არ ნერვიულობდა. იქ, ნახევარფინალში, ფედერერთან ეპიკში ცოტა გადარჩა, ცოტა გაუმართლა, ცოტა როჯზე უკეთესი იყო და ფინალის ვიზა მაინც ბოსმა მიიღო. თამაში დამთავრდა, დელ პოტრო ბადესთან უსულო საგანი იყო და როჯერმა პატარა ძმა დაამშვიდა, გადაკოცნა. ლამაზი იყო. როჯი და დელ პოტრო ერთმანეთს ავსებენ. კორტზე.

დელ პოტრომ სამი წლის წინ მოიგო US Open. ფინალამდე გადაჩეხა რაფაელ ნადალი, ფინალში გააჩერა ფედერერი და არგენტინამ დაისვენა. გილერმო ვილასის, მარტინ ხაიტეს შემდეგ დელ პოტრო ყველაზე კარგი არგენტინელი გახდა.

ტრავმამ დაშალა ილუზია და დელ პოტრო. არგენტინაც დაბერდა. როცა საყვარელ შვილს საოპერაციოსთან ელოდები და მხოლოდ კარგის გაგება გინდა, იღლები და მერე ეშვები, ისვენებ. დელ პოტროს მაჯაზე, მუხლზე, ხერხემალზე სამი ოპერაცია გაუკეთეს. ბიჭი ცოტა ნელი, ცოტა სხვა დელ პოტრო გახდა. ლონდონში ის, ძველი ხუან მარტინი იყო.

აგრესია დაბრუნდა.

შარმი დაბრუნდა.

ყველაზე სერიოზული, აუღებელი ფორჰენდი დაბრუნდა.

დელ პოტროც დაბრუნდა და ხუან მარტინმა US Open უნდა მოიკითხოს. შარშან მესამე წრეში, ოთხ სეტში, ჟილ სიმონთან აგებს. ხდება ხოლმე. ხანდახან სიმონმა დელ პოტროს, უკეთეს პერსონაჟს უნდა მოუგოს.

ამერიკაში დელ პოტრომ ის ერთი თამაში მოიგო. 3:6, 7:6, 4:6, 7:6, 6:2. ფინალი როჯერ ფედერერთან.

დელ პოტრო ისევ არგენტინაა. ლონდონში რჩება ჯინობილი, სკოლა და დანარჩენი არგენტინა. ძირითადი არგენტინა მორჩა. და დელ პოტრო და US Open ისევ აქტუალურია.

წამოიღო.

სერენა უილიამსი

სერენას მოწესრიგებულ საუნაში 44 მოგებული ფინალია. სერენას საუნაში მამიკოს, რიჩარდ უშავესის ფოტომოგონებები და კივის კოქტეილია. სერენას კოქტეილები და კივი უყვარს. სერენას ჩოგბურთის კოქტეილებიც უყვარს და სერენა ჩოგბურთია. ლონდონში ჩვენი გოგო იყო გაია. ლონდონში ჩვენი გოგო იყო ილაის წიგნიდან წამოსული სიბრძნე. ლონდონში სერენა უილიამსი ჩოგბურთზე ბევრი იყო. სერენაში ჩოგბურთი დიდი დოზით არის და, ალბათ, დარჩება. თუ გოგონა ამ მოგებით და დომინაციით არ დაიღლება.

სერენა არ თამაშობდა და სხვები ბევრს იგებდნენ. სერენას ეცინება.

სერენას გაეცინა პეტრა კვიტოვაზე. ჩეხმა მოიგო უიმბლდონი და სერენა იქ ისვენებდა.

სერენას გაეცინა მაშა შარაპოვაზე. რუსმა მოხსნა ოთხი ჯეკპოტი და სერენა ისვენებდა.

სერენას გაეცინა აგნეშკა რადვანსკაზე. გაეცინა და პოლონელის სახელი, გვარი ვერ დამარცვლა.

სერენას გაეცინა სერენაზე. სულ რაღაცას იგებს, სულ რაღაცა ეზარება და სულ რაღაცას ვერ ასწრებს. სერენა ოთხი ყველის პიცაა.

სერენას გაეცინა, რომ სხვებს აღარ ეცინებათ. ვიკა აზარენკა ცოტა ხნით პირველი ნომერი იყო. შარაპოვაც პირველი ნომერი იყო. რადვანსკა თითქმის გახდა პირველი. კაროლინ ვოზნიაცკიმ ყველაფერი წააგო და პირველი იყო.

სერენას კიდევ ერთხელ გაეცინა. ჩოგბურთში ყველაფერი შესაცვლელია. სერენას გარდა. უილიამსი ჩოგბურთის წითელი ბილიკია და იმ ბილიკზე მხოლოდ უილიამსები დადიან. დედიკო ბედნიერია, რომ სერენა იგებს. ვენუსი ბედნიერია, რომ სერენას დაიკოა. რიჩარდი ბედნიერია, რომ კარგი, მშვენელი შვილები ჰყავს. სერენა ბედნიერია, რომ უილიამსია.

ამერიკაში სერენა იგებს. ორჯერ (1999, 2009) გადახსნა ყველა და ამ გარჩევის პირველი ნომერია. უილიამსი რეიტინგში მეოთხეა. უილიამსი რეიტინგში პირველი იქნება. თუ სირბილი და მოგება არ დაეზარება. უილიამსი სერენაა და US Open შავ ანგელოზს ელოდება.

ენდი მარი

მარი არაპოპულარულია და მარი საქმეს აკეთებს. რაღაც ამბავში ბიჭი იჭრება და ბრექობას იწყებს. დაავიწყდა როჯერ ფედერერისთვის ბადესთან ხელის ჩამორთმევა. ეს ადრე ლონდონში, მასტერსის თასზე იყო. დაავიწყდა, რომ წაგებული თამაშის შემდეგ დოპინგზე ჭორაობას არ იწყებენ. ეს ნადალთან, შარშან, უიმბლდონის ნახევარფინალში შეცდომის მერე დაემართა. ნადალს გაეცინა, კარგი ბიჭია და დაუფიქრებლად თქვაო.

მარის კორტზეც რაღაცები ავიწყდება. მშვიდი, მომთმენი, უინიციატივო საუბარი ფედერერებთან, ნადალებთან და ცივ სერბებთან ვერ წამოიღებს. მარიმ უნდა გახსნას პენალი და ვარდისფერ ცხვირსახოცში შეხვეული აგრესია მიიღოს. აგრესიის დიდი დოზის შემდეგ ენდი ლეტალური პერსონაჟია. მარიმ იცის ბადესთან თამაში და იქ ოფისის გახსნას ერიდება. მარი ყველაზე მაგრად ცვლის ტემპს და პროცესში არ ცვლის საკუთარ თამაშს. მარი ივან ლენდლთან ერთად უკეთესი და შეცვლილი მარია. ოლიმპიადა ენდიმ და ივანმა ერთად მოიგეს. უიმბლდონის კორტზე ლენდლმა პატარა ბონუსი მიიღო. მრავალწლიან კარიერაში ივანი იგებს ყველა მოსაგებ ტურნირს. უიმბლდონის გარდა. ენდიმ ლენდლს ფინალი აჩუქა.

ამერიკის ღია გარჩევებში, სადაც მარი ერთხელ, ოთხი წლის წინ, ფინალში შევიდა, თითქმის სულ დიდი ბიჭები იგებენ. როლან გაროზე ზარმაცი ბურთით თამაშობ. უიმბლდონზე ბურთი ონავარი ბავშვივით ცელქობს და ამერიკაში ჩოგბურთით იგებ. მარის შანსი ექნება. უბრალოდ, ბიჭმა ეს შანსი უნდა დაინახოს და ლენდლის მეგობრობის დღიურებში ჩაიხედოს. ივანმა US Open ზედიზედ სამჯერ (1985-87) მოიგო და ზედიზედ რვაჯერ (1982-89) ფინალში შედიოდა. მარი ამერიკაში ფავორიტი იქნება.

ფედერერი ყველა ტურნირის აბსენტია, ნადალი ტრავმით ისვენებს და ჯოკოვიჩი ბოლო დროს ცოტა უმუღამოდ აკეთებს საქმეს. რჩება ჟო-ვილფრედ ცონგა. ტომაშ ბერდიხიც. დავიდ ფერერიც. გორან ივანიშევიჩიც. გორანს და ცონგას ამერიკული სლემის მოგების თანაბარი შანსები აქვთ. ოღონდ არ ვხუმრობ.

არც მარი ხუმრობს. მაგარი ამერიკა იქნება.

ლონდონის 9.63 წამი

"რას ამბობთ, მე ჯერ ლეგენდა არ ვარ. აი, დავიცავ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს და მაშინ ლეგენდა ვიქნები".

ეს გახლავთ უსეინ ბოლტის ყველაზე სერიოზული გამონათქვამი პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან ლონდონის ოლიმპიადამდე. ერთი შეხედვით ეს ოთხი წელი ბოლტმა მხიარულად გაატარა. თითქმის არ ტოვებდა გლამურულ შეკრებებს, მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებებში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გახსნაზეც კი გამოჩნდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში ბოლტმა რამდენჯერმე წააგო გარბენი თავისივე თანამემამულე იოჰან ბლეიკთან და არაერთი ტრავმა მოიშუშა, თუმცა, საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ბოლტი ლონდონისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა. მან ლონდონში დაამტკიცა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ადამიანია.

ბოლტმა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ ერთი ოქრო მოიგო. როდესაც ფინალურ გარბენში ბოლტი სარბენ ბილიკზე გამოჩნდა, ის მაქსიმალურად იყო კონცენტრირებული. პეკინის ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, უსეინი ხელების ქნევით როდი გარბოდა. არც მჯიღს იცემდა ფინიშის სწორზე. მან, უბრალოდ, ერთი უკან გამოიხედა და დაინახა, თუ რამდენით ჩამოიტოვა კონკურენტები.

"გარბეინის სტარტმა ცოტა მანერვიულა. სტარტი არც ისე ძლიერი მაქვს. გარბენის წინ მწვრთნელმა მითხრა კიდეც, დაივიწყე სტარტი და ფინიშზე მოახდინე კონცენტრაციაო. ჩემი უძლიერესი მხარე სწორედ ფინიშია. ეს ბრწყინვალე იყო. ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. ამაში ეჭვი არ მეპარებოდა", - განაცხადა უსეინ ბოლტმა, რომელმაც 100-მეტრიანი სპრინტი 9.63 წამში გაირბინა და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა.

უსეინ ბოლტი

100 მეტრზე სირბილი ოლიმპიური თამაშების მშვენებად ითვლება, თუმცა, წლეულს, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სასაცილო ფინალი ვიხილეთ. მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერებმა ოლიმპიადის მშვენება შოუდ აქციეს. აბა, როგორ გინდა სერიოზულად უყურო დისტანციას, რომლის ფავორიტები მთელი სეზონის განმავლობაში ოხუნჯობდნენ. ბოლტი ხან მოკრივეს განასახიერებდა, ხან - დიჯეის, ბლეიკი ტელეკამერებს ფხაჭნიდა, პაუელმა საკუთარ წვერზე ჩაატარა ექსპერიმენტები. მოკლედ, ეს სამეული თავადაც ერთობოდა და ჩვენც გვართობდა. თუმცა, გარბენი მაინც უნიკალური გამოდგა და ეს, პირველ რიგში, ბოლტის დამსახურებაა.

გლამურული საზოგადოების ნამდვილ წევრად ქცეული უსეინ ბოლტი ლონდონის ოლიმპიადის ასმეტრიანი დისტანციის ფინალურ გარბენზე ბობ მარლის ქალიშვილის დიზაინის ფორმით გავიდა, თუმცა, უსეინი სტარტზე აბსოლუტურად უგემოვნოდ ჩაცმულიც რომ ყოფილიყო, ფინიშის შემდეგ ტაბლოზე ანთებული 9.63 წამი ნათლად დაგვანახებდა, თუ ვისთან გვაქვს საქმე.

ის ლეგენდაა!!!

ანანიძის გოლი და ემერის კომპლიმენტი

ამ დღეებში სპორტის და არა მარტო სპორტის მოყვარულთა ყურადღება ლონდონის ოლიმპიური თამაშებისკენ არის მიპყრობილი, თუმცა, სპორტული მოვლენები მხოლოდ ოლიმპიური თამაშებით როდი შემოიფარგლება. მაგალითად, რუსეთში მიმდინარეობს საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის მორიგ ტურში თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" შემტევმა ჯანო ანანიძემ.

მოსკოვურ დერბიში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ "სპარტაკი" და "დინამო". პრინციპულ მატჩში ბრძოლა არ შედგა, თეთრ-წითლებმა დინამოელები პირწმინდად დაჯაბნეს და თამაში ანგარიშით 4:0 მოიგეს. ჯანომ სპარტაკელთა მესამე გოლი გაიტანა. მატჩის მსვლელობისას ემერიმ თავისი გუნდის ორივე ფორვარდი შეცვალა. "სპარტაკის" ესპანელმა მწვრთნელმა ანანიძე მაკგიდის ნაცვლად მატჩის 61-ე წუთზე შეიყვანა მინდორზე. 14 წუთში ჯანომ ლამაზი გოლი გაიტანა. "რით იყო გამოწვეული ორივე ფორვარდის შეცვლა? იმის მიუხედავად, თუ ვინ გამოდის მინდორზე, გუნდში ჯანმრთელი კონკურენცია უნდა იყოს. ევროტურნირების დაწყებამდე სათამაშო პრაქტიკა ყველა ფორვარდს უნდა ჰქონდეს. ჩემი აზრით, შეცვლაზე შესულებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე ძირითადებმა. ანანიძემ და ძიუბამ გოლი უზრუნველყვეს. ორივე ძალიან აქტიური იყო და იმ მცირე დროში, რომელიც მათ ჰქონდათ, არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს", - ამბობს ემერი. იმედია, ემერის ეს სიტყვები სიტყვებად არ დარჩება და მომავალში ჯანო ანანიძეს "სპარტაკში" უფრო მეტი სათამაშო დრო ექნება.

ჯერჯერობით "სპარტაკს" რუსეთის ჩემპიონატში სამი მატჩი აქვს გამართული და სამივე მოიგო. მიმდინარე სეზონში "სპარტაკი" ჩემპიონთა ლიგაზეც იასპარეზებს.

ყენია რუსეთში არ იქნება

ლევან ყენია

ქართველი ნახევარმცველის, ლევან ყენიას ტრანსფერი სანკტ პეტერბურგის "ზენიტში" აღარ შედგება. 21 წლის ქართველმა ფეხბურთელმა ზაფხულში გერმანული "შალკე" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და თითქმის ერთი თვის განმავლობაში რუსეთის ჩემპიონთან ერთად ვარჯიშობდა, შემდეგ კი "ზენიტთან" წინასწარი შეთანხმება გააფორმა.

ყენიამ "ზენიტის" ერთ სპარინგშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა, ნევისპირელთა იტალიელი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი აცხადებდა, რომ ყენია თავისი ინიციატივით არ მიუწვევია. ქართველის აყვანა "ზენიტის" პრეზიდენტ ალექსანდრ დიუკოვს სურდა.

მიუხედავად ამისა, ყენიას ტრანსფერი ჩაიშალა და, ქართველი ფეხბურთელის განცხადებით, ამის მიზეზი იყო "ზენიტის" რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებმაც ლევანში კონკურენტი დაინახეს და არ ისურვეს, რომ ის გუნდში მისულიყო.

ერთ-ერთი ქართული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ყენიამ განაცხადა, რომ "ზენიტის" ხუთმა ფეხბურთელმა კლუბის მესვეურებს გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მათ ყენიასთან ერთად თამაში არ სურდათ.

ახლა ყენია თბილისშია და ინდივიდუალურად ცდილობს ფორმის შენარჩუნებას.

ერთ-ერთი რუსული სააგენტო დაუკავშირდა ლევანის საფეხბურთო აგენტს და ბიძას, გიორგი კიკნაძეს, რომლის თქმით, ლევანი რუსეთისკენ აღარ გაიხედავს.

"ყენიამ უკვე დატოვა პეტერბურგი და "ზენიტში" არ ითამაშებს. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი. პეტერბურგული კლუბისგან ოფიციალურ კომენტარს ველოდებით, თუმცა, ჯერჯერობით "ზენიტის" წარმომადგენლები დუმილს ამჯობინებენ. ლევანს "ზენიტთან" წინასწარი შეთანხმება უკვე გაფორმებული აქვს.

დაჰპირდა თუ არა მას რაიმეს დიუკოვი? ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ნახეს ლევანის თამაში, დაელაპარაკნენ და შეუთანხმდნენ კონტრაქტზე სქემით 1+2. ლევანი პეტერბურგში ჩავიდა და იქ ყველაფერი აირია. დეტალები ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია, ლევანთან ამ თემაზე არ მისაუბრია. ახლა ის ცუდ განწყობაზეა, ამბობს, რომ ყველაფერი უნდა გაარკვიოს და ამაზე დაწვრილებით შემდეგ ისაუბრებს.

ამჟამად ყენიას ჰოლანდიური და ბელგიური კლუბებიდან აქვს მიწვევები. ის თავისუფალი აგენტია. არსებობს თუ არა რომელიმე რუსულ კლუბში თამაშის ალბათობა? რუსული კლუბების თემა არც კი განიხილება. იმის შემდეგ, რაც ასე არასერიოზულად მოიქცნენ "ზენიტის" წარმომადგენლები, რუსულ კლუბებში თამაშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ვფიქრობ, "ზენიტმა" ბევრი დაკარგა ყენიაზე უარის თქმით. ლევანი ახალგაზრდაა და უმაღლეს დონეზე აუცილებლად ათამაშდება. ტრავმით გამოწვეულმა ხანგრძლივმა პაუზამ ის ვერ გატეხა. მას ყველაფერი წინ აქვს. საჭიროა მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა. სამედიცინო შემოწმება სამჯერ გაიარა. ყველამ ნახა, რომ ტრავმის პრობლემა არ არსებობს. ლევანი აბსოლუტურად ჯანმრთელია", - ამბობს კიკნაძე.

ასე რომ, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპული საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ლევანი აუცილებლად იპოვის შესაფერის კლუბს.